დაიჯესტი

28 დეკემბერი 2020 – 10 იანვარი 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

სენატში მიმდინარე სხდომების პარალელურად კონგრესის შენობაში დონალდ ტრამპის მხარდამჭერები შეიჭრნენ. კაპიტოლიუმის პოლიციამ 6 იანვარს კონგრესის შენობაში დამატებითი ძალების მობილიზაცია მოითხოვა. ქვეყანაში არსებული ულტრა-მემარჯვენე ჯგუფები ავრცელებენ განცხადებებს დედაქალაქში შეკრებისა და პროტესტისთვის, რაც ძალადობრივი კონფრონტაციების რისკს ზრდის.

ვაშინგტონის მერმა, მიურიელ ბაუზერმა განაცხადა, რომ მომხდარი საშინაო ტერორიზმის ნათელი მაგალითი იყო. მისი თქმით, ექსტრემისტებმა, რომლებიც შენობაში შეიჭრნენ, გამოიყენეს ძალა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რაც ტერორიზმის პირდაპირი განმარტებაა. მომხდარში ათასობით ადამიანი იყო ჩართული, 80-ზე მეტი ადამიანი დაიჭირეს, გარდაიცვალა 4, მათ შორის ქალი რომელსაც კაპიტოლიუმის პოლიციამ ესროლა. შემთხვევას გამოეხმაურა ახლადარჩეული პრეზიდენტი ჯო ბაიდენი, მან თქვა, რომ ის რაც მოხდა იყო საშინაო ტერორიზმი და არ შეიძლება ამას უბრალო პროტესტი ვუწოდოთ.

სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ შესაძლოა კუბა დაამატოს ტერორიზმის სპონსორების აშშ-ს სიაში. პრეზიდენტი ბაიდენის ინაუგურაციამდე 3 კვირით ადრე, ტრამპის ადმინისტრაციის საბოლოო ნაბიჯი საგარეო პოლიტიკაში, ბაიდენის ადმინისტრაციას საქმეს გაურთულებს. ჯერ-ჯერობით გაურკვეველია რას გადაწყვეტს მაიკ პომპეო.

პრეზიდენტმა ტრამპმა სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს ოფიციალურად მიმართა ულტრა-მემარცხენე ჯგუფი ანტიფას შესაძლო კლასიფიკაციის შესახებ, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია. საუბარია მისი წევრებისთვის აშშ-ში შესვლის აკრძალვაზე.

საფრანგეთი

ბელფორტში, მამაკაცს დაემუქრნენ, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. 20 წლის მამაკაცი მას შემდეგ იქცა მსხვერპლად, რაც სოციალურ ქსელში ფოტოები გამოაქვეყნა, სადაც შობას აღნიშნავდა. იგი მუსლიმია, მამამისი კი პოლიციის ოფიცერია. თავდამსხმელმა ამას ხაზი გაუსვა მუქარაშიც, რომელიც ინტერნეტ სივრცეში გაავრცელა. მისი თქმით მუსლიმი ამ დღეობაში მონაწილეობას არ უნდა იღებდეს, შემდეგ ამის გამო ბიჭს ფიზიკურად გაუსწორდა.

დიდი ბრიტანეთი

სურეიში 47 წლის მამაკაცი ტერორიზმის ბრალდებით დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით პირი ისლამურ ტერორიზმთანაა კავშირში და დაუყოვნებლივ საფრთხეს არ შეიცავდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება.

პოლონეთი

პოლონეთის შინაგან საქმეთა სააგენტომ 2 ერაყის მოქალაქე, ტერორიზმის დაფინანსების ბრალდებით დააკავა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მათ 2-12 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. ისინი ტერორისტულ დაჯგუფება დაეშს აფინანსებდნენ.

ნიგერია

ნიგერიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, ვულგოს ტყიდან ტერორისტულმა ორგანიზაცია, ბოკო-ჰარამმა, 40 მეტყევე გაიტაცა. ნიგერიის საპატრულო სამსახურის განცხადებით, ბოლო პერიოდში გახშირებულია თავდასხმა მეტყევეებსა და ფერმერებზე. ვულგოს ტყეში ჩატარებული სამძებრო სამუშაოების დროს 3 მეტყევის ცხედარი იქნა ნაპოვნი.

ბორნოს შტატში, სავარაუდოდ ბოკო ჰარამის ტერორისტი მებრძოლების თავდასხმამ 10 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თავდასხმა 4 სოფელზე მოხდა, ოფიციალური წყაროების განცხადებით მსხვეპლთა რიცხვი სამს არ სცდება, მაგრამ იქ მცხოვრები მოქალაქეების განცხადებით 10 ადამიანი მაინც არის მკვდარი.

შობის ღამეს სოფელ პემიზე ბოკო-ჰარამმა თავდასხმა განახორციელა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა შვიდი ადამიანი. ჩიბოკის ადგილობრივი მმართველობითი ორგანოს მდივანმა, კაჩალა უსმანმა, CNN-თან განაცხადა რომ ტერორისტული ორგანიზაციის წევრებმა სოფლის შვიდი მაცხოვრებელი გაიტაცეს. გატაცებულთა შორის არის სასულიერო პირიც.

ნიგერი

ნიგერში შეიარაღებულ თავდასხმას 100-მდე ადამიანი შეეწირა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არავის აუღია, მაგრამ ამ რეგიონში ბოლო დროს აქტიურია „ისლამური სახელმწიფო დიდ საჰარაში“, ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის ქვეჯგუფი. რეგიონი საშიში გახდა მაცხოვრებლებისთვის, სახელმწიფო თავდაცვის ძალები სათანადოდ ვერ უმკლავდებიან ამ საფრთხეს.

ბურუნდი

ბურუნდის პრეზიდენტმა, ევარისტე ნდაიშიმიემ შეიწყალა 4 ჟურნალისტი, რომლებიც პატიმრობაში „სახელმწიფოს უსაფრთხოების დარღვევის მცდელობისთვის“ იმყოფებოდნენ. ჟურნალისტები წინა წლის ოქტომბერში, ამბოხებულებისა და უსაფრთხოების ძალების ძალადობრივ დაპირისპირებებს აშუქებდნენ, რის შემდეგაც ისინი დააკავეს და 2.5 წელი პატიმრობა მიუსაჯეს. შემთხვევამ საერთაშორისო ამნისტიისა და სხვა ორგანიზაციების ყურადრება მიიპყრო.

კამერუნი

ჩრდილოეთ კამერუნში ისლამისტურმა, ტერორისტულმა ჯგუფმა, ბოკო ჰარამმა 3 ადამიანი მოკლა. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 2014-2017 წლებში ჯგუფბა 2500 კამერუნელი მოკლა.

კენია

კენიის თავდაცვის ძალებმა ბონის ტყეში სპეცოპერაცია ჩაატარეს. მათ ტერორისტული დაჯგუფება ალ შაბაბის სამალავი გაწმინდეს, დააკავეს ერთი პირი, მოკლულია ალ შაბაბის 4 მებრძოლი.

სომალი

31 დეკემბრის ოპერაციის შედეგად, ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბაბის სულ მცირე 3 მებრძოლი მოკლეს, განადგურებულია ორგანიზაციის მიერ გამოყენებული შენობები. ოპერაცია აშშ-ს თანამშრომლობა, AFRICOM-ის ფრაგლებში ჩატარდა. მოქალაქეები არ დაშავებულან.

სომალში, თურქული კომპანიის საწყობთან სამანქანო ჭურვი აფეთქდა. გარდაცვლილია ოთხი ადამიანი, მათ შორის ერთი თურქეთის მოქალაქე. გავრცელებული ინფორმაციით თავდასხმა ტერორისტულმა დაჯგუფება ალ შაბააბმა განახორციელა.

2021 წლის 5 იანვარს, სამშაბათს, სომალის უშიშროების სამსახურებებმა ჰირშაბელეს რეგიონში ჩატარებული სამხედრო სპეცოპერაციის ფარგლებში ტერორისტული ორგანიზაცია, ალ-შაბააბის, მებრძოლები დააკავა.

ავღანეთი

ვრცელდება ინფორმაცია ალ კაიდას ლიდერის, აიმან ალ-ზავაჰირის გარდაცვალებაზე. გამოცემა არაბ ნიუსს, წყაროები ავღანეთიდან და პაკისტანიდან, იუწყებიან 69 წლის ზავაჰირის ბუნებრივი მიზეზებით გარდაცვალებას. ზავაჰირი ბოლოს სახალხოდ 9/11 დღეს გამოჩნდა ვიდეო მიმართვით. ზავაჰირის სიკვდილი კითხვებს აჩენს ალ კაიდას შემდეგი მეთაურის შესახებ. უცნობია შემდეგი ლიდერის ვინაობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰამზა ბინ ლადენი, ოსამა ბინ ლადენის შვილი, რომელიც შემდგომ ლიდერად მოიაზრებოდა კონტრ-ტერორისტულ ოპერაციაში მოკლეს, ალ კაიდაში იერარქიით მეორე ადამიანი, აბუ მუჰამად ალ-მასრი, იმავე წელს, ირანში მოკლეს.

ტერორისტული ორგანიზაცია თალიბანის მებრძოლებმა ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციიდან, ღაზნიდან 20 მოქალაქე გაიტაცეს. ადგილი საიდანაც მოქალაქეები გაიტაცეს, თალიბანის კონტროლირებადი ტერიტორიაა. გატაცების დღეს, 2 საჯარო მოხელე მოკლეს ამავე პროვინციაში.

ავღანეთის რამოდენიმე რეგიონში თავდასხმას სულ მცირე 4 ადამიანი შეეწირა, არიან დაშავებულები. თავდასხმებზე პასუხისმგებლობა არცერთ დაჯგუფებას არ აუღია, თუმცა ავღანეთში ოპერირებს დაეშთან ასოცირებული დაჯგუფება, რომელიც ეწინააღმდეგება მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებს და მიზნად იღებს ავღანეთის მოქალაქეებსა და საჯარო მოხელეებს.

გამოცემა ABCNEWS-ის განცხადებით, 2020 წლის 22 დეკემბერს, პარასკევს, ბალხის პროვინციაში ტერორისტულ თავდასხმას ორი სამხედრო ოფიცრის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაღუპულთაგან ერთ-ერთი ათასმეთაური მუჰამედ ქასიმ პაიკარია.

სირია

სირიაში, ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის თავდასხმის შედეგად 37 ადამიანი გარდაიცვალა. თავდასხმა სოფელ შულასთან ავტობუსზე მოხდა. ობსერვატორიის მეთაურის, რამი აბდელის განცხადებით, ეს ყველაზე დიდი თავდასხმა იყო დაეშის მიერ თვითგამოცხადებული სახალიფოს დაცემის შემდეგ.

სირია-თურქეთის საზღვართან არსებულ სოფელ რას ალ აინში, ხილ-ბოსტნეულის ბაზართან ახლოს სამანქანო ჭურვი აფეთქდა. არიან გარდაცვლილები და დაშავებულები, მათ შორის ქალები და ბავშვები.

სირიის დემოკრატიული ძალების (SDF) ავრცელებენ ინფორმაციას ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის 3 ერაყელი წევრის ლიკვიდაციის შესახებ. SDF-ის სპეც-დანიშნულების ძალებმა იმავე დღეს გაწმინდეს დაეშის სამალავები და დააკავეს 14 ტერორიზმში ეჭვმიტანილი.

არაბთა გაერთიანებული საამიროები

გამოცემა Jerusalem Post-ის განცხადებით, ოფიციალურმა აბუ-დაბიმ უარყო სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიერ ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვის ბრალდებით ირანის მოქალაქეთა დაკავება. სახელმწიფო უწყებების მიერ გავრცელებულ განცხადებაზე დაყრდნობით, ირანის მოქალაქეთა დაკავებას ადგილი არ ჰქონია.

ირანი

ირანში სამი ადამიანი ტერორიზმისთვის გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. ორი, ჰასან დევჰარი და ელიას ქალანდარზეჰი 2014 წლის აპრილში დააკავეს დიდი ოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერებისა და შეიარაღების ფლობისთვის. ირანული მედიის ცნობით წყვილს გატაცება, აფეთქება, მკვლელობა და ექსტრემისტულ

დაჯგუფება ჯაიშ ალ-ადლთან მუშაობა ედებოდათ ბრალად. მესამე, ომიდ მაჰმუდზეჰი, ძარცვასა და მკვლელობაში იყო დამნაშავე.

თურქეთი

თურქეთის სასამართლომ, ჟურნალი კუმჰურიეთის ყოფილ რედაქტორს ტერორიზმის ბრალდებით პატიმრობა მიუსაჯა. კან დუნდარს შპიონაჟი და შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციის მხარდაჭერა ედება ბრალად. დუნდარს 27 წელი და 6 თვე პატიმრობა დაუსწრებლად მიესაჯა. სამოქალაქო საზოგადოების წევრები გადაწყვეტილებას არასწორად მიიჩნევენ. რეპორტიორები საზრვრებს გარეშე (RSF) რედაქტორმა, პოლინ ადეს-მევალმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს პრეზიდენტი ერდოღანის რეჟიმის ავტორიტარულობას, მან ამ გადაწყვეტილებას შოკისმომგვრელი და არანორმალური უწოდა.

თურქეთის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, მათ 15 ქურთი ტერორისტი მებრძოლი მოკლეს, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში თავდასხმას გეგმავდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ტერორისტი მებრძოლები ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) წევრები იყვნენ.

ტერორიზმის ფინანსირების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში თურქეთის პარლამენტმა ახალი კანონპროექტი მიიღო. ახალი კანონპროექტის მიხედვით, თურქეთის ტერიტორიაზე იკრძალება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქცირებულ პირთა და ორგანიზაციათა კომერციული აქტიურობა და მათი ფინანსური ხელშეწყობა.

პაკისტანი

2020 წლის 23 დეკემბერს, შაბათს, ბალოჩისტანის რეგიონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებზე მიტანილ სარაკეტო თავდასხმისას 7 სამხედრო პირი გარდაიცვალა.

გამოცემა Reuters-ის განცხადებით, განხორციელებულ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ამ დროისათვის არავის აუღია.

პაკისტანში, ბალოჩისტანის პროვინციაში შიიტ მუსლიმებზე თავდასხმა მოხდა. პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია დაეშმა აიღო. გარდაცვლილია 11 ადამიანი, ისინი ცივი იარაღით არიან მოკლული. დაღუპულთა ოჯახის წევრები და ახლობლები ქალაქში საპროტესტო აქციებს მართავენ და პრემიერ-მინისტრ იმრან ხანს შიიტთა დაცვისაკენ მოუწოდებენ.

მუმბაის ტერორისტული თავდასხმის უკან მდგომი, ზაქი-ურ-რეჰმან ლახვი პაკისტანის ანტი-ტერორისტული სასამართლოს წინაშე წარსდგა. 61 წლის ლახვი ტერორისტული დაჯგუფება ლაშქარ-ე-თაიბას ერთ-ერთი მეთაურია. მას 5 წლით პატიმრობა მიესაჯა.

ლიბანი

ჰეზბოლას ლიდერის, ჰასან ნასრულას განცხადებით, ჰეზბოლამ ამ დროისათვის მაღალი სიზუსტის რაკეტების რაოდენობა ბოლო წლებთან შედარებით გაორმაგა. ნასრულამ ხაზი გაუსვა ჰეზბოლას შესაძლებლობას მიიტანოს იერიში „ისრაელისა და ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ სტრატეგიული დანიშნულების ობიექტზე“.

ჩინეთი

24 დეკემბერს, კვირას, ლიაონინის პროვინციაში მომხდარი თავდასხმის შედეგად, 7 ადამიანი გარდაიცვალა. ჩინეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადებით, არიან დაშავებულებიც. ამ დროისათვის საპატრულო პოლიციამ ერთი პირი დააკავა. მიმდინარეობს საგამოძიებო სამუშაოები მოტივის დადგენის მიზნით.

ვიეტნამი

ვიეტნამის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრის, გენერალი ტო ლამის განცხადებით, ვიეტნამის ხელისუფლებამ კანადის ტერიტორიაზე არსებული Viet Dynasty ტერორისტულ დაჯგუფებად გამოაცხადა. ამ დროისათვის Viet Dynasty-ის წევრებს განცხადება არ გაუვრცელებიათ.

ინდონეზია

ინდონეზიის პოლიციამ ტერორისტული დაჯგუფება ჯემაა ისლამიას ერთ-ერთი შტაბი აიღო. ორსართულიანი სახლი იავაში ჯემაა ისლამიას მიერ 2018 წლამდე გამოიყენებოდა ახალი წევრების ტრენინგისთვის, ასაფეთქებელი მოწყობილობების ასაწყობად და შეიარაღების შესანახად. სახლში, სულ მცირე 96 ადამიანმა გაიარა 6-თვიანი ტრენინგი.

2020 წლის 27 დეკემბერს, ოთხშაბათს, ინდონეზიაში მოქმედი სამხედრო დაჯგუფება, ისლამის დამცველთა ფრონტი (FPI), ინდონეზიის სახალხო წარმომადგენლობითმა საბჭომ ძალადობრივ დაჯგუფებად გამოაცხადა. წარმომადგენლობითი საბჭოს ბრძანებით ინდონეზიის ტერიტორიაზე აიკრძალა დაჯგუფების აკრონიმის, FPI-ის, ნებისმიერი ფორმით გამოყენება.

კონტრტერორისტული სამხედრო ჯგუფის მიერ სამხრეთ სულავესის რეგიონში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ორი ადამიანი დაიღუპა. გამოცემა Al-Jazeera-ის განცხადებით, აღნიშნული პირები ფილიპინებში 2019 წლის ტერორისტულ თავდასხმებში იყვნენ ეჭვმიტანილი.

იემენი

გასამხედროებულმა დაჯგუფმა, ჰუსიტებმა, კომპანია Safer Oil Co.-ის 3 თანამშრომელი გაიტაცა. კომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კომპანიის

თანამშრომლებიდან ორი ქალაქ სანაში საჯარო ტრანსპორტიდან, ხოლო მესამე სახლიდან გაიტაცეს.

მალი

მალიში კონტრ-ტერორისტული მისიის დროს 3 ფრანგი ჯარისკაცი თავდასხმას შეეწირა. საფრანგეთს რეგიონში 5000-ზე მეტი ჯარისკაცი ყავს, რომლებიც დაეშს, ალ კაიდასა და სხვა ტერორისტულ ჯგუფებს ებრძვიან.

ცენტრალურ მალიზე საჰაერო თავდასხმას სულ მცირე 20 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. თავდასხმა ცენტრალურ მალიში მიმდინარე ქორწილზე, ვერტმფრენიდან მოხდა. ფრანგული სამხედრო სპიკერის განცხადებით თავდასხმას არ ქონია კავშირი წინა დღეებში განხორციელებულ რეიდთან.

რუსეთი

ტერორისტულმა ორგანიზაცია დაეშმა პასუხისმგებლობა აიღო ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში განხორციელებულ თავდასხმაზე. თავდამსხმელებმა მოკლეს ერთი პოლიციელი, დაშავებულია მეორეც. ჩეჩენი ლიდერი რამზან კადიროვის განცხადებით, თავდამსხმელები ინგუშები იყვნენ, ისინი პოლიციამ განიარაღებისას მოკლა.